

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-
გივის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლ-
ში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-
გივის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სა-
ხლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტო-
რაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ ТИ-
ПИСЬ. ВЪ редакцію газ. „Дროаბა“.

გაზეთის ფასი: მთელის წლი-
სა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან.
და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს რუბლად

განცხადება: მიიღება ქართულს,
რუსულს, სომხურს და სხვა ენებში
ფასი განცხადებისა: ერთი ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით
სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის
ციცროთით—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაას-
წიროს და შეამოკლოს დასაბეჭდო
გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი
სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ყოველ-ღლიური გაზეთი

„დროება“

ხელის-მოწერა: მთელისში, რედაქ-
ციის კანტორაში (სერგივის ქუჩაზე,
ივ. ამირაგოვის სახლებში, № 8).

შალაქს გარეშე მცხოვრებთათვის აღრე-
სი. ВЪ ТИПИСЬ. ВЪ редакцію газету
„Дроаба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8
მან., 1/2 წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი
თვის—3 მან.

რედაქციისაგან

საჭიროთ ვრაცხთ გამოუცხადოთ მო-
მავალ ჩვენ ხელის-მომწეროებს, რომ,
რადგან ზოგიერთი ნომრები სულ გასა-
და და აღარ იპოვება რედაქციაში, ამის გა-
ამ წლის სრულს ნომრებს ვეღარ მიი-
ღებენ. ჩვენ გვაკლია № № 1, 6, 11,
12 და 13; შემდეგი ნომრები უფრო მო-
მეტებელი დაიბეჭდა და ამიტომ ყველა
მომავალი ხელის-მომწეროები უკლებ-
ლოე მიიღებენ.

ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდან

(მფიციალური)

I

არტაანი, 22 იანვარს. 16 იანვარს ჩვენი
ჯარები ოღლის-ხანის მახლობ-
ლად მოგროვდნენ; 17 იანვარს ჩვენმა
ჯარებმა ართვინისაკენ გაიწიეს.
მტერი დაბანაკებულია ტოლგომის
ახლოს გამაგრებულის პოზიციაზედ.

II

ჩვენი ატრიადი მთელი ექვსი საათის
განმავლობაში მუდამ წინ მიდიოდა
და თან ებრძოდა მტერს. ჩვენმა ჯარებ-
მა მთებით შემოუარეს მტრის მარცხე-
ნა მხარეს და განდევნეს ართვინი-
საკენ; ახლა ისინი სინგოტთან
მავრდებიან.

ჩვენის მხრით 4 სალდათი მოკლუ-
ლია და 22 დაჭრილი. მსმალოებს კი
უფრო მომეტებული ზიანი აქვთ; 50
იმათი მკვდარი, რომელითაც წაღება
ბრძოლის ველიდან ვერ მოასწრეს, ჩვენს
ხელში დარჩა. ოღლის-ხანი დამ
დაწყებული სულ კლდიანი ადგილებია.

(„მზორის“ დეპეშები)

ათინა, 21 იანვარს. საბერძნეთმა მს-
მალეთს ომი გამოუცხადა.

მენა, 21 იანვარს. უკვლასახელმწიფო-
ები თანხმანი არიან, რომ მიიღონ მო-
ნაწილეობა კონჭერენციაში, რომელიც
მენაში შეიკრიბება.

უცხო ქვეყნის აფიცრები, რომელთაც
სტამბოლის სიმაგრეები დათვალაიერეს,
ყველანი ერთ-ხმად ამბობენ, რომ ამ
ქალაქის დაცვა მტრისაგან არ შეიძლე-
ბაო.

არღანუჯი, 19 იანვარს. ორი დღის
განმავლობაში ჩვენს ჯარებს თითქმის
გაუწყნარებელი სროლა ჰქონდათ ხა-
რხანის მთებზე მტერთან; ჩვენებმა და-
უარეს იმათ და სანგოტისაკენ
დასწიეს. მტრის პოზიციის დათვალაიერე-
ბის დროს არტაანის ატრიადის უფრო-
სი ღწნ. პომაროვი გაკაწრა მტრის
ტყვიამ, მაგრამ მსუბუქათ; ტყვიამ გაუ-
ხვრიტა პალტო მხართან და ცოტათი
გაუწვა ხორცი.

საქართველო

პოლიტიკური მდგომარეობა

საბოლოოთ თუ არა, დროებით მაინც
გათავთა ბრძოლა რუსეთსა და მსმა-
ლეთს შუა. ღღევანდელი ტელეგრაფმა
გაცნობებთ, რომ ყველა ჯარებს რუ-
სისას და იმის მომხრეებისას მეროპისა
და მცირე აზიის ბრძოლის ველზე ბრძა-
ნება აქვთ გაგზავნილი, რომ ყოველი
სამხედრო მოქმედება მოსპონ და სანამ
შერიგება არ მოხდება, თავის ალაგზე
იყენენ გაჩერებულნი.

ხრმალი ჩაგებულა; ბურთი და მავ-
დანი ახლა დიპლომატებს დარჩათ.

ამ თავით მხოლოდ შერიგების უმ-
თავრეს საფუძველზე იყო მოლაპარაკე-
ბა და ეს მოლაპარაკება, როგორც ოფი-
ციალურად ვიცით, ბედნიერად, ერთმა-
ნეთის დათანხმებით გათავდა. ახლა უფ-
რო დაწერილებით პირობებზე შეიქნება
მოლაპარაკება.

ღღევანდელი დეპეშადამ შეიტყობთ
აგრეთვე, რომ ყველა სახელმწიფოები
დათანხმდნენო, რომ მეტროლოდ შერი-
გების პირობების გადასაწყვეტად და და-
სადგენათ მენაში შეიკრიბოს მეროპის
უმთავრეს სახელმწიფოებთა წარმომად-
გენელნიო.

ამ კონჭერენციაზე იქნება დამოკი-
დებული, საბოლოოთ გადაწყვეტა ომისა,
ანუ ხელ-ახლად სისხლის ღვრის დაწყება.

ორი, ერთმანეთს მოპირდაპირე, ერ-

თმანეთის წინააღმდეგი ინტერესები შე-
ეჯახებიან კონჭერენციაზე: რუსეთის და
სლავიანური ხალხების რომელიც, უე-
ჭველია, მოინდომებენ, რომ თავის აწინ-
დელის გამარჯვებით ისარგებლონ და
ისე დაამცირონ დამაცხებული მსმალე-
თი, რომ შემდეგში იმას აღარ შეეძლოს
ამათი ვნება და შეწუხება, და ინგლისი-
სა და ავსტრიის, რომელთაც პოლიტი-
კური და ეკონომიური სარგებლობა მო-
ითხოვს, რომ მსმალეთი ერთობ არ
იქნეს დამცირებული და განაწილებული.

თუ ეს ორი მოწინააღმდეგე პარტია,
მოპირდაპირე ინტერესები მოთავსდნენ
ერთმანეთში, მაშინ ეს ბრძოლა საბო-
ლოთ გათავებულად ჩაივლება; წა-
ნააღმდეგ შემთხვევაში, თუ კონჭერენ-
ციაზე თანხმობა არ დამყარდა, შესაძლე
ბელია, რომ ბრძოლა ხელ-ახლად ატყ-
დეს; და ეს ბრძოლა მაშინ მარტო რუ-
სეთსა და მსმალეთს შუა კი არ იქნე-
ბა, არამედ ავსტრია, ინგლისი და იქნე-
ბა სხვა სახელმწიფოებიც ჩაერივნენ.

მაშასადამე ჯერ-ჯერობით გადაწყვე-
ტით თქმა, რომ ომი გათავდაო, არ შე-
იძლება; ყველაფერი, როგორც ზევით
მოგახსენეთ, კონჭერენციაზედ არის და
მოკიდებული, იმ კონჭერენციაზედ, რომ-
მელსაც რუსეთი თავის პირობებს წარუ-
დგენს.

ამ ნაირად, თუ რუსეთმა ისეთი პი-
რობები წარუდგინა კონჭერენციას, რომ-
მლის მიღება მსმალეთს, ინგლისსა და
ავსტრიას არ გაუჭირდებათ, მოხდება
სრული, დაბოლოებითი შერიგება, თუ
არა—და ატყდება ახალი, უძლიერესი,
უძძინვარესი და უფრო სწინელი ბრძო-
ლა.

აი ესეთი არის ახლანდელი პოლიტი-
კური მდგომარეობა...

ს. მ.

ღლიური

* ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ დღეებში
ჩვენს ქალაქში ჩამოუყვანათ რაპლონი-
მე აფიცრი, რომელნიც 18 იანვარს
დაჭრილან ასე უბედურს ბრძოლაში
სინის-ძირთან. ამ დღეებშივე გაგზავნეს
აქედამ ხუც-შაბანში ავთამყოფებისა და
დაჭრილებისათვის გადმოსაყვანი ურემები,
წამლები და თბილი ტანისამოსი.

* ჩამოღრჩობილი შუხანოვები გუ-
შინ პირველ საათზედ დასაფლავეს იქ-
ვე, საცა ჩამოაღრჩვენს.

* როგორც მოგახსენებთ, ამ ჟამად
ჩვენს ქალაქში და სოფლებშიაც ახალად

აგროვევენ მილიციონერებსა. მარტო ქალაქში 56 კაცი უნდა მოგროვდეს; უფლებში კი ბევრთად არ ვიცით—რამდონი.

შესაძლებელია, რომ, რადგან მშვიდობიანობასა და მტერთან შერიგებას მოვლიან, ეს ახალი მილიციონერების მოკრება შეაჩერონ; მაგრამ, თუ არ შეაჩერეს, კარგი იქნება, ვისიც რიგია, ყურადღება მიაქციონ, რომ ეს საქმე ისე უწყსოდ და უთავ-ბოლოდ არ წავიდეს ახლაც ჩვენში, როგორც ამ წინაზე, ომის გამოცხადების დასაწყისში მიდიოდა. მისაც კი შეიძლო, მოითხოვინებინ ხელი და ჯიბე გაიტენა ხალხისაგან; ერთს, ვინც უნდა გასულიყო ბრძოლის ველზე, უშვებდნენ, თუ კი რამდენსამე მანეთს დახარჯავდა, მეორე, შირად დედის-ერთა და ოჯახის ბურჯის კი მიჰყავდათ.

იქელი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგში ამისთანა უწყსოება არ გამეორდება.

* * * „თფილისის მოამბეს“ გაუგონია, ვითომც ხელმწიფე იმპერატორს ეპატივებინოს პაქო ჩოლაყაშვილისათვის რომელსაც, როგორც მოგვხსენებთ, თფილისის სასამართლოებმა და სენატმაც ცოლის წვალებისათვის სიმბირში (ირკუტსკის გუბერნიაში) სამუდამოთ გაგზავნა გადაუწყვიტა.

* * * ამავე გაზეთის სიტყვით, ის მეპტურე, რომელთანაც დედისაგან წვალეზბულმა ბ—ოვის ქალმა შეიფარა თავი და რომელმანაც ასე მხეტურად ისარგებლა ამ საწყალი ქალის უპატრონო მდგომარეობით, სამხედრო სამართალში იქნება მიცემული. ამ მეპტურეს გარდა იმის ორი სხვა ამხანაგებიც მიეცემიან სამხედრო სამართალში.

* * * მუთაისილამ შემდეგ ამავს გეწერენ:

„მთხი-ხუთი დღე არის მას აქეთ, რაც აქ ერთ ადგილას მუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლები წაიხსუბნენ და ძლიერ სცემეს ერთმანეთს. მიზეზი „ღროებაში“ დაწერილი კორრესპონდენციები ყოფილა. სხვათა შორის, ამ ხსუბში ერთი ერთი მღვდელი, რომელსაც ბოლოს რევოლუციური ამოუღია ჯიბიდან, მაგრამ ხელი უტაცნიათ და არაფერი უბედურება მომხდარა, გარდა იმისა, რომ პატივცემული მღვდელი და ზოგი სხვებიც ძლიერ გაულახავთ და თავ-გატეხილი გამოსულან ხსუბიდან...“

„ამაზე საქმე დღეს გამოამედიებელს აქვს და არ იციათ—როგორ გათავდება.

„ბი ამისთვის აუხირდა უ. ზედამხედველი სასულიეროს მხრით აღრჩეულ მწვერებს, რომ ამისთანა პირები არ აღარჩიეს ინსპექტორის თანამდებობაზე!..“

„ნეტავ როდის იქნება, რომ ამ სასწავლებელს ერთი რიგიანი მოთავე ეღიროს და გაიწმინდოს ამისთანა პირებისაგან, რომლისთვის სამღვდლოები ყოველ წლებით 16,000 მანეთს ხარჯავს.

„თუ სასულიერო სასწავლებლებს განსაკუთრებით მზრუნველი არ დაენიშნა,

სწორეთ უკან-და-უკან წავა სწავლის საქმე. როგორი შაგირდები უნდა გამოვიდეს ამისთანა მასწავლებლების ხელში? ძარვ მაგალითს კი აჩვენებენ...“

ომის აზვები

აზიის ბრძოლის ველიდან

მზურგეთიდან მოვევიდა აზვები, რომ აქ ძალიან ბევრი დაჭრილები ჩამოიყვანეს ხუტ-შბნიდამაო; საუბედუროთ, ამათთვის აქ არც რიგიანი სახლებია, არც საკმაო დოქტორები და წამლებიო. ბაღმოყვანაზე ძალიან დიდი განსაცდელი გამოუვლია დაჭრილებსაო.

იქილამვე გეწერენ, რომ ამ 18 იანვარს სინის-ძირთან ბრძოლის დროს ძალიან დიდი ზიანი მისცემია ჩვენებს განსაკუთრებით მდ. ძინტრიშზე გადასვლის დროს; ბევრი დაჭრილა ამ დოს და წყალში დაღუპულა.

ამ მოკლე ხანში ჩვენი კორრესპონდენტისაგან მოველით ამ უბედური შეტაკების შესახებ უფრო დაწვრილებით ამბავს..

ბაზეთის „ძაკეზის“ მე-13 ნომერში დაბეჭდილია შემდეგი საინტერესო ცნობა შესახებ ბათუმის ჯარის მდგომარეობისა და ამ ჯარის სარდლისა და შტაბის უფროსზედ; ეს ამბავი ნამდვილად ბათუმის ჯარის უფროსების ხსიათს შეეხება, და არა სხვა რომელიმე ჯარისას:

„მართმა ლაზისტანელმა, რომელიც იყო ტყვეთ მოყვანილი მზურგეთში, გვიამბო შემდეგი ამბავი ბათუმის ჯარის მდგომარეობაზე და ამ ჯარის უფროსებზე:

„ამ ტყვის—ახმედის სიტყვით, ბათუმის ჯარის სარდალი ჟერიკ-თაშა უცხო ტომის კაცია; ძალიან ცხარე ხასიათის არის; ყველა მის ჯარში მოსამსახურესთვის მიუკარებელი და სამხედრო საქმეში უნიჭო. ცოლათ ჰყავს დიდი გვარის ქალი და იმის ნათესავეების შემწეობით მიიღო ჟერიკის ხარისხი, ე. ი. ღწერლობა და კორპუსის სარდლობა.

„იმისი შტაბის უფროსი მირპალი-ფენდი ლივანის ადგილობრივი მთიულთაგანია. შესახებდეთ ძალიან სასიამოვნო სახის და ძალიან ლომობიერი კაცია. მაგრამ გაიძვერა და თავის კერძო სარგებლობის მიძებნელი კაცი გამოდგა და ამ ნაირად მოტყუდნენ მასში მისი ამხანაგები, რომლებიც აღრე დიდათ პატივს სცემდნენ, რადგან გონიერი და პატიოსანი კაცი ეგონათ. იმან დანიშნა ბაში-ბუზუყების სარდლათ უნიჭო პირნი, რომელნიც ატყავებენ ბაში-ბუზუყებს და უყოფენ შუაში პატივცემულ ეფენდის, რომელიც ამის გარდა ამ პირებისაგან ბევრს საჩუქრებსაც იღებს.

„მირპალა-მუენდი მეგობრათ იყო წანათ ერთ პატივცემულ ბევთან; მაგრამ ამას წაეჩხუბა და დაუმეგობრდა მეორეს ბევს, რომელიც უფრო სასარგებლო და მარჯვე იყო მისთვის. ახალი მეგობარი ხშირად პატიჟობს მას თავის

პარამში, რომ მისცეს შემთხვევა ლამაზი ქალების დანახვისა, რომლისაგანაც საწყალი მირპალა-თაშ და კუტუს-ქარგამს და რაც უნდა ყველაფერს უსრულებს თავის ახალ მეგობარს და მის მეუღლეს; ეს ბევის მეუღლეც ძალიან მოხერხებული ყოჩალი ქალია.

„ბაში-ბუზუყებისაგან გამონარჩენ ფულს იმისი ქმარი ნახევარს უგზავნის მირპალას, რომელიც მუდამ თვე ჰგზავნის შინ,—სტამბოლში ან თავის ნათესავეების ხელით, რომლებიც ბევრნი არიან მასთან სამსახურში, ან თავის მომხრე კაცების ხელით.

„როგორც ამბობდა ახმედი, ამ თავის სარდლების მადლით, საწყალი ჯარი, მეტადრე ბაში-ბუზუყები, შიმშილით და სიცივით კვდებიან, რადგან არა აქვთ რა, რომ სჭამონ და ჩაიცვან.“

სახალხო უკოლავი ზამო-იმაკითხი

(წერილი რედაქტორთან)

„შარშანდელი „ღროების“ № 177-ში იყო დაბეჭდილი მუთაისის გუბერნიის გლეხის განცხადება შესახებ მათი სასოფლო უკოლისა. იმ განცხადებაში, სხვათა შორის, იყო მოყვანილი ჩემ შესახებ, როგორც ამ უკოლის მზრუნველზე, შემდეგი სიტყვები: ჩვენს მზრუნველს მოვსთხოვეთ შემოსავალ-გასავლის ანგარიში, მაგრამ ვერ მოგვეცაო; ვიჩივლეთ ლუბერნატორთან; მოუვიდა ჩვენი ქალღლი თუ არა უფედის უფროსს, მივიდა ჩვენში და გამოგვიცხადა ჩვენ, თქვენი უკოლის საქმე თუ ცუდათ მიდიოდაო, ეს მზრუნველის ბრალიაო, იმას არ უნდა, რომ თქვენ ისწავლოთო, უკოლის ფულები არ იყო რიგი იმას ქონებოდაო და იმას ეწარმოებიაო შესავალ-გასავლის ხარჯიო, თქვენ იმან შეგაგონათ უკოლის დახურვაო და სხვ.

მე დაიმედებული ვიყავი, ამ გლეხის განცხადებას პასუხს ვასცემდა ვისიც რიგი იყო. მაგრამ ზოგიერთები უფრო საუმჯობესოდ რაცხვენ უთქმელობას, აქაო-და, ჩვენ არ ვიცით რა იბეჭდებოთ, რადგან „ღროებას“ არ ვიწერთო. თუმცა ამ გლეხის განცხადებაზე ორიოდ სიტყვა რუსულ გაზეთშიაც იყო ნათქვამი, მაგრამ არა მის პასუხს არ გაუცია. ეს იყო მიზეზი, რომ დღემდის ამ საგანზედ მე არაფერი არ მითქვამს.

თუმცა დიდ საცოდაობათ არის მიღებული „ღროებაში“ სასულიერო პირისაგან რაიმეს დაბეჭდვა, მაგრამ რადგან ქართული სასულიერო ყურნალი ჩვენში არ არსებობს, ამისათვის იძულებული ვარ მოვმართო თქვენთან, ურედაქტორო, და გთხოვთ ამ ჩემ წერილს ადგილი მისცეთ თქვენს „ღროებაში“, რომ გავიმართლო თავი იმ უსაფუძვლო ცილის-წამებისაგან, რომელიც ზეშო თქმული გლეხის განცხადებით მიწამება.

შველას ვარგათ ასოცის საზოგადო სურვილი ბავშვების სწავლებისა და უკოლების გახსნისა, რომელიც ჩვენმა გლეხებმა გამოიჩინეს ამას წინეთ, სხვა-

თა შორის, შრომის საზოგადოებამაც შეადგინა ერთ ყრილობაზე განჩინება შკოლის აშენებისა და მასწავლებლის ფულის-ყოველწლოებით შეკრებისა 250 მ. ჩვენში არაფერი საქმე არ დაწყებულა ჯერ, რომ სხვა პირებიც არ გაერიოს იმ საქმეში და, ხელის გამართვის მაგიერ, საქმე არ წაესდინოს. ამ საზოგადოებასაც ასე დაემართა: ზოგიერთ პირის გავლენის წყალობით, კანცელარია და შკოლა თითქმის საზოგადოების გარეშე არის აშენებული, გარდა ოცი კომლისა ყველა ნამეტნავად დაშორებული არიან.

შკოლის სახლების ასაშენებელი იმდენი დაეხარჯა ყველა საზოგადოებას უფლებში, რომ იმ ფულით და შრომით ერთი-ხუთად უკეთესი სახლები გაკეთდებოდა ყველგან. მაგრამ ეს იმის ბრალი იყო, რომ ამ საქმეში გლეხებს არავინ მოთავე არ ყოლია და მათ თვითონ ვერა გარჩევს-რა.

შკოლის სახლი სრულებით არ იყო გამართული ზემოხსენებულს საზოგადოებაში, მაგრამ მასწავლებელი მოვიდა იანვარში 1875 წელს, მასწავლებელი ყოვლად უცოდინარი თავის ხელობისა. შკოლა საზოგადოებამ მოათავა მისში, მაგრამ კარგად გამართული მაინც არ იყო.

მასწავლებელმა იფიქრა: თუ ერთი-ორი ბავშვი არ მიეყოლა შკოლაში, ჯამაგირს არ მომცემენო და როგორც იქნა შეუყარა თავი ერთ თუთხმეტოდღე შაგირდს მისშივე. შაგირდები თუმცა სამი წილი არ დადიოდა შკოლაში, მაგრამ სია ხომ კი ჰქონდა მასწავლებელს ხელში და ვინ რას ეტყოდა. საზოგადოებას მისცეს წინადადება მზრუნველის აღრჩევაზე; მე ამირჩიეს და განსაკუთრებული განჩინებით ჩამაბარეს ფულის ანგარიშის წარმოებაც. ანგარიშის მიცემასაც ითხოვედნენ ჩემგან წლის დამდევს. ეს განჩინება ლუბერნატორმა დაამტკიცა, რიგისამებრ გამოემცხადა უფლის უფროსისაგან, რომელმანც ამასთანავე მომცა შესავალ-გასავლის წიგნი.

სწავლა მასწავლებელმა თუმცა მისის თვლად 1875 წლისა დაიწყო და ამ დროიდან უნდა დაწყებულიყო მასწავლებლის ჯამაგირის ფულის ბოჭვა გლეხებისაგან, მაგრამ მამასახლისმა ფულების კრება მასწავლებლისათვის 1874 წლის ივნისიდან დაიწყო. რამდენი ვეცადე მამასახლისთან, მაგრამ ვერაფერი გზით მე მას ფულები ვერ ჩამოვართვი; აუხსენი ჩემი მოვალეობა და ისიც, რომ მასწავლებელს ჩემგან უნდა მიეღო ფული, მაგრამ ვერა შევაგონე-რა. მასწავლებელი ტყუილად ითვლებოდა მასწავლებლად, არაფერს არ აკეთებდა. მე მოვახსენე ეს გარემოება უ. სახალხო შკოლების დირექტორს და იმან მომცა წინადადება ამისთანა მამასახლისის საქციელზედ უფლის ნაჩაღნიკთან მიექცეულიყავი. მე მივიქციე ოტნოშენიეთი უფლის უფროსთან 10 იანვრიდან წარსულის წლისა და ვსთხოვე მამასახლისს. მასწავლებლის ჯამაგირი ჩემთვის გარდ-

მოეცა. შფროსმა მამასახლისის მოსთხოვა პასუხი და შემოსავლის ფულების გარდმოცემაც უბრძანა. მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი განკვირება, რომ მამასახლისი დღესაც არ შემოუტანია პასუხი. დღეს რაღას დაეძებს პასუხს? მას ვადა დიდი ხანია შეუსრულდა და მის ადგილზე სხვა არის დანიშნული. ღაღა ახალი მასახლისი; მასწავლებელიც გამოცვალებს და მის ადგილზე; სხვა დააყენეს. მამასახლისის ფულს რომ მოთხოვ, წარმოადგენს კვიტანციას მიცემულს მასწავლებლისაგან სრულად ჯამაგირის მიღებაზე

მასწავლებელი კარგად ცნობს თავის მოქმედებას; საზოგადოება, რომელიც სწავლას ვერ ხედავს, ჯამაგირის მიცემას არ უპირებს; მაგრამ რადგან მესამედ ჯამაგირის ფულს პირდება მამასახლისის და მის მწერალს, გლეხებს ცემა-ტყვიით ახდევინებენ შკოლის ფულს და აძლევენ მასწავლებელს, რომელიც კვიტანციას აძლევს, თუმცა ჯამაგირს ნახევრის მეტს არ იღებს.

ამისთანა ქცევა აღევლევს საზოგადოებას, რომელიც მე მთხოვს ანგარიშს მაგრამ მე რა ანგარიშს მიეცემ, როდესაც უფლის უფროსის საშუალებითაც ვერ ჩამოვართვი ფულები მამასახლისის. სხადათ ვხედავ, რომ არათუ მე, არც ასს ჩემისთანას შეუძლია ამ შკოლის ხეირიანად საქმის წაყვანა და მზრუნველობა.

შოთმინებიდამ გამოსულმა მე ავწერე ყველა ეს გარემოება და ერთ ყრილობაზე ვაცნობე საზოგადოებას ქალაქით და კიდეც ვთხოვე ჩემი თანამდებობისაგანაც დაახონა. საზოგადოებწინეთაც კარგად ცნობდა თავის შკოლის საქმეს და ამისათვის ვისაც ყაღაზემები, წაყვანეს სხვა შკოლებში სადაც სწავლებისათვის დიდ ხარჯს შერებია.

ამ წლის დამდევდამ თითქმის შკოლაში შაგირდები არ დაეხარჯა. მისი დღეს დირექტორის მოსტყუარა და სხვა ხმებით მიიტყუა შაგირდები, ისიც ზოგი სხვაგან წასწავლი და დაანახვა მთავრობას, რომ შაგირდები დადიანო. დირექტორისაგან რევიზიის შესრულების შემდეგ არც ერთი შაგირდი არ დაიარება შკოლაში. მაგრამ მასწავლებელი, მამასახლისის წყალობით, უკლებლად იღებს ჯამაგირს.

საზოგადოება თხოულობს ლუბერნატორთან ამისთანა უსარგებლო შკოლის დახურვას და მასწავლებლის ჯამაგირის ფულის გარდახდისაგან განთავისუფლებას, მაგრამ ამ კანონიერ თხოვნაზე უარს ეუბნებიან. მასწავლებელი ეუბნება ყველას, რომ შკოლაში კარგად წავიდოდა საქმე და კარგათაც ასწავლიდა, მაგრამ გლეხებს აშინებენ სხვა-და-სხვა მანებელი პირებიო, რომ თუ თქვენმა ბავშვებმა ისწავლეს რამე, მაშინვე სალდათათ წაიყვანებენო. ამისთანა სიტყვებს თავის უფროსებსაც ეუბნება, და ზოგს მართლაც სჯერა.

მაგრამ ეს აშკარა სიცრუეა; თუ ამ სიტყვებს უგდებდნენ გლეხები ყურს, რათ მიჰყავთ სხვა შკოლებში თავის შვილები?

მთ დღეს საზოგადოებაში გულ-გრილობას ხედავს კაცი გლეხებში შკოლების შესახებ, ეს უნდა მიაწეროს კაცმა ისევე ამისთანა უთაებლოდ შკოლების საქმის წაყვანას. სამწუხაროა, რომ ამისთანა შკოლები მართლად ცუდს აზრს სთესავენ ჩვენს გლეხებში საზოგადოთ შკოლებზე.

ყველა შკოლებზე და ყველა მამასახლისებზედ არ შეიძლება სთქვას კაცმა, რაც ზემოთ ვთქვი, მაგრამ უმფრო ბევრზე, ითქმევა, ვინემ ცოტაზე.

მ. დ. ლ.

დ. შვირილა, იანვრის 10-ს.

ნარევი

სიმძირისად და ცუდ დროებასად 1877 წ.

იესო შრისტემ აძლიეროს ერთბუნებრივ ეს ქვეყანა...
 ხარჯმა მეტათ შეგვაწუხა, შიგ საწყილი დაეტანა,
 სიძვირეცა ზედ დაერთო, ამას ვერვინ დაეხმარა;
 ღაგვეკარგა, ველაჲ ვხედავთ, რაც კეთილი დაგვენანა.
 მოედანზედ გამოვედი, მქონდა რუმე სასყიდელი;
 ძულავე რაც ფასი მიმეცა, ახლა მთხოვეს ათეული!
 მთქვი თუ სხვა რასმე ვივაჭრებ, რაც იქმნების იაფეული,
 მაგრამ ყველა სავაჭროსა ცეცხლი ჰქონდა მოდებული!
 მერმე ვნახე მიჯარეთა ხალხნი ისხდნენ დიდებულნი.
 წყენით იყვნენ ლაპარაკში, სიძვირისა მოჩივარნი:
 — ვით შეიძლონ, ვით ასწიონ ტვირთი ესე გასატანი!
 სიკვდილსაცა იგონებდნენ, სიცოცხლისა დამზრახვანი..
 ღარიბნიცა შეყრილიყვნენ, ჰკვირდებოდნენ მათსა თქმასა;
 მრთმანერთსა აგონებდნენ: — შირნი ჩვენნი საღლა ჩანანა?
 „ბაკითნაცა არ გვექნების, თუნდ მივადგეთ მათსა კარსა!
 „მეტი დონე აღარა ვვაქს, უნდა მივეყვით დიღსა წყალსა!“
 ნათესავნი ნათესავთა შორით შორსა უდგებიან,
 მეზობელნი, მეგობარნი სალამსა ვერიდებიან;
 მისვლა-მოსვლა ეძნელებათ, მისთვის უფრო წუხდებიან,
 მართი კაცის მასპინძლობით გულნი მათნი მფოთდებიან!

